



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოვანე მელი

იოვანე მელი, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მისი გადანიჭილია წმინდანთა ცხოვრების - კრებული, რ-იც ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეიცავს. წიგნი (341 ფურცელი, 24,3 სმ × 18,0 სმ), ეტრატზე კუთხოვანი, საკმაოდ მსხვილხაზოვანი ნუსხურით ერთ სვეტადაა ნაწერი. საზედაო ასოები, ყოველი თხზულების პირველი სტრიქონი და თავსამკაული შინდისფერი მელნითაა შესრულებული. წიგნის მთელი გაფორმება ი. მ-ს ეკუთვნის. მორთულობა მარტივი და უპრეტენზიოა. ტექსტისა და სამკაულების შესრულება კალიგრაფის მაღალ პროფ. დონეს მოწმობს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.
